

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**—თებერვალი 2018 წელი**

**„ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებული უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის №52 დადგენილება.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**—თებერვალი 2018 წელი**

**ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ისტორიკოსის, პროფესორ შალვა გოგიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს  
ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

შპს „ალფა“-ს (ს.კ. 202201134)  
მისამართი: თბილისი, ჩაჩავას ქუჩა N8

წარმომადგენლის რამაზ მოსეშვილის (პ/ნ: 01011030394)  
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 148ბ  
ტელეფონი: 595-53-53-76  
ელ. ფოსტა: [ramaz.moseshvili@gmail.com](mailto:ramaz.moseshvili@gmail.com)

### განცხადება

ქალბატონო თინათინ,

მოგესხენებათ, მიმდინარე წლის 21 აგვისტოს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მივმართეთ N9255 განცხადებით და ვთხოვეთ, შპს „ალფას“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.066) ნაწილზე საკრებულოს მიერ განხორციელებული შალვა გოგიძის ქუჩის სახელდების აქტის გაუქმება. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 2017 წლის 28 სექტემბრის N9255 წერილით მივიღეთ დაპირება, რომ კომისია უახლოეს პერიოდში დაიწყებდა ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესს „ქ. თბილისში დიდუბის რაიონში, ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებულ უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“ 2014 წლის 28 თებერვლის N52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით. თუმცა ამ წერილის მიღებიდან გასული დროის მიუხედავად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შპს „ალფაში“ რაიმე დამატებითი შეტყობინება აღარ მოსულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით გვაცნობოთ, გაუქმდა თუ არა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის N52 დადგენილება „ქ. თბილისში დიდუბის რაიონში, ნოდარ ბოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებულ უსახელო ქუჩისთვის და მასთან მდებარე I ჩიხისთვის შალვა გოგიძის სახელის მინიჭების შესახებ“. იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილება გაუქმებულია, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაუქმების შესახებ; ხოლო თუ დადგენილება არ გაუქმებულა - მოგვაწოდეთ უშუალოდ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 თებერვლის N52 დადგენილება და ამ სახელდებასთან დაკავშირებით სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, მათ შორის, შალვა გოგიძის სახელობის ქუჩის კოორდინატების, მისი კონფიგურაციის და განთავსების ამსახველი რუკები.


დანართი:

1. 21.08.2017წ. N9255 განცხადება - 2 (ორი) ფურცლად;
2. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 28.09.2017წ. წერილი N9255 – 1 (ერთი) ფურცლად.

პატივისცემით,  
რამაზ მოსეშვილი



06.12.2017წ.



ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულო

**TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY**

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; [www.sakrebulo.ge](http://www.sakrebulo.ge)  
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32)2 15 92 92; [www.sakrebulo.ge](http://www.sakrebulo.ge)

№ 9255

„28“ სექტემბერი 2017 წ.

შპს „ალფას“ წარმომადგენელს

რამაზ მოსეშვილს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2017 წლის 21 აგვისტოს №9255 წერილი.

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უახლოეს პერიოდში დაიწყებს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესს „ქ. თბილისში დიდუბის რაიონში, ნოდარ პოხუას და კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩებს შორის არსებულ უსახელო ქუჩისთვის და მასთან ძდებარე I ჩიხისთვის შალვა გოჯოძის სახელის მინიჭების შესახებ“ 2014 წლის 28 თებერვლის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სახელდებისა და სიმბოლიკის  
კომისიის თავმჯდომარე

ლია ჯახველაძე



ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
თარიღი 21.08.2017  
განცხადების, წერილის № 9255  
პასუხზე დარეკეთ  
ტელეფონი: 215-93-93

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ხელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს  
ქ-ნ ლია ჯახველაძეს

შპს „ალფა“-ს (ს.კ. 202201134)  
მისამართი: თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №8

კარმოადგენლის რამაზ მოსეშვილის (პ/ნ: 01011030394)  
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 148/3  
ტელეფონი: 595-53-53-76  
ელ. ფოსტა: ramaz.moseshvili@alpa.ge

## განცხადება

ქალბატონო ლია,

გაცნობებთ, რომ შპს „ალფას“ ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ჩაჩავას ქუჩაზე საკუთრებაში აქვს 13099 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 01.13.02.004.066. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად ნაკვეთის მისამართია: ქალაქი თბილისი, ქუჩა ჩაჩავა, №2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/66). ნაკვეთის კონფიგურაციის გასაო. მის ძირითად ნაწილამდე, სადაც განლაგებულია შენობა-ნაგებობები. მისასვლელად ამავე ნაკვეთიზე მდებარეობს გრუნტიანი ზედაპირის მისასვლელი გზა, რომელიც მთლიანად მოქცეულია №01.13.02.004.066 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ნაკვეთში და შესაბამისად წარმოადგენს შპს „ალფას“ კერძო საკუთრებას. ჩვენთვის სრულიად შემთხვევით ახლა გახდა ცნობილი, რომ სწორედ ამ გრუნტიანი გზით დაფარულ ჩვენი ნაკვეთის ნაწილს 2014 წელს თბილისის საკრებულოს მიერ მიენიჭა შალვა გოგობის ქუჩის სახელწოდება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება საქართველოს დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის, მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება. ამავე კოდექსის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, ამ კანონით მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. ამდენად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ იმ ობიექტის სახელდება, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრებაშია.

მსგავსად იყო რეგულირებული აღნიშნული საკითხი „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ აწ უკვე ძალადაკარგული კანონით. კერძოდ დედაქალაქის შესახებ კანონის 9<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებებს განეკუთვნებოდა დედაქალაქის საკუთრებაში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება და ამავე კანონის მე-12 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს ერთ-ერთ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის,


ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის; შენობა-ნაგებობების; სატრანსპორტო სისტემის ობიექტების სახელდება საკრებულოს ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე შალვა გოგიძის სახელობის ქუჩის სახელდების დროს მოქმედებდა თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის N6-27 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის თანახმად, წინამდებარე წესის მიღების მიზანია დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მოწესრიგება. ეს წესი არ ვრცელდება დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ფიზიკური პირების, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისა), რელიგიური ორგანიზაციების, ამხანაგობების, უცხოეთის სახელმწიფოებისა და უცხოური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე. ზუსტად ანალოგიური ჩანაწერია დღეს მოქმედი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესში“. კერძოდ ახალი წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს წესი არ ვრცელდება დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ფიზიკური პირების, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე.

ამდენად, აღნიშნულ ნორმათა თანახმად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ იმ ობიექტების სახელდება, რომელიც მუნიციპალურ საკუთრებაშია და აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ქუჩას. როგორც კი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო რომელიმე ტერიტორიას მიანიჭებს ვინმეს სახელობის ქუჩის სახელწოდებას, იმ მომენტიდანვე მოქმედებს პრეზუმფცია, რომ აღნიშნული ტერიტორია მუნიციპალურ საკუთრებაშია და არა ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შალვა გოგიძის სახელობის ქუჩის სახელწოდება მიანიჭა შპს „ალფას“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას საკადასტრო კოდით 01.13.02.004.066, მოგმართავთ მოთხოვნით გააქუმოთ შესაბამისი სახელდების აქტი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ ნორმებს და არღვევს ჩვენს კერძო საკუთრების უფლებას. იგი ასევე წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან.

გარდა ამისა გთხოვთ, გადმოგვცეთ შალვა გოგიძის სახელობის ქუჩის სახელდების აქტი და სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, მათ შორის ე.წ. შალვა გოგიძის სახელობის ქუჩის კოორდინატების, მისი კონფიგურაციის და განთავსების ამსახველი რუკები. გარდა ამისა, გთხოვთ ასევე მოგვაწოდოთ შალვა გოგიძის სახელობის ქუჩის ტერიტორიისთვის ქუჩის სტატუსის მინიჭების თაობაზე მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.  
დანართი: მინდობილობა - 1 (ერთი) ფურცლად.

პატივისცემით,  
რამაზ მოსეშვილი

h. 

21.08.2017წ.



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: **03-031735228**

თარიღი: **18.12.2017**

ადრესატი:

რამაზ მოსეშვილი

პირადი ნომერი: 01011030394

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი 148ბ

ბატონო რამაზ,

თქვენი 2017 წლის 06 დეკემბრის #19/031734043-03 საქმესთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თქვენს მიერ, მე-5 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების განმავლობაში, 2017 წლის 21 აგვისტოს, მატერიალური სახით შემოტანილ 9255 განცხადებაზე.

როგორც მოგეხსენებათ მე-6 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა მოხდა მ/წლის ნოემბრის თვეში, რასაც საკრებულოს თავმჯდომარის, მოადგილეები და კომისიების თავმჯდომარეების არჩევა მოჰყვა, ასევე ნოემბერში დამტკიცდა კომისიების პერსონალური შემადგენლობები.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ამ დრომდე არ მომხდარა საკითხების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ინიცირება.

გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული საკითხის საკრებულოს წინაშე ინიცირება და საჯარო განხილვის მიზნით გამოქვეყნება მოხდება 2018 წლის იანვრის თვეში. საჯარო და კომისიური განხილვების შემდეგ საკითხი საკრებულოს მიერ განიხილება რეგლამენტის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო - სახელდებისა და  
სიმბოლიკის კომისია - კომისიის  
თავმჯდომარე

თ. ნიბლოშვილი

თინათინ ნიბლოშვილი